P-ISSN 1987-7668 / E-ISSN 2720-782X
https://doi.org/10.60131/jlaw.1.2025.9285
ლიცენზია: CC BY-SA

ანზორ მახარაძე*

დაზარალებულის ვიქტიმურობის პრობლემები სასამართლო განხილვის ეტაპზე

დაზარალებულის (მსხვერპლის) დარღვეული უფლებების აღდგენის უზრუნველყოფის მიზნით, ჩამოყალიბებული უნდა იყოს ისეთი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს მის მართლმსაჯულებაში აქტიურ მონაწილეობასა და მისი კანონიერი ინტერესების დაცვას.

დანაშაულისგან დაზარალებული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესებისა და უფლებების დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარი ამოცანაა.

ნაშრომში წარმოჩენილია დაზარალებულთა ვიქტიმოლოგიური პრობლემები სასამართლო განხილვის ეტაპზე. გაანალიზებულია კანონმდებლობით რეგლამენტირებული დაზარალებულთა (მსხვერპლთა) უფლებების ამოქმედების თავისებურებანი, დაზარალებულთა უფლებების გაძლიერების, დაზარალებულთა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის არათანაბარი ურთიერთობის დაძლევის გზები. განსაკუთრებული ყურადრება ეთმობა დაზარალებულის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდების ან ცრუ ჩვენების მიცემის პრობლემებს და ვიქტიმურობის თავისებურებებს. სტატიაში განხილულია სასამართლო შეცდომები და დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა.

საკვანძო სიტყვები: *დაზარალებულთა ვიქტიმოლოგიური პრობლემები სასამართლო განხილვის ეტაპზე, ცრუ ინფორმაციისა და ცრუ ჩვენების მიცემით გამოწვეული შედეგები. დაზარალებულის როლისა და მასთან დაკავშირებული მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხები.*

1. შესავალი

კვლევის მიზანია განხილული და გაანალიზებული იქნეს დაზარალებულის ვიქტიმოლოგიური პრობლემები სასამართლო განხილვის ეტაპზე. სტატიაში დეტალურად განიხილება ვიქტიმურობა, როგორც წინასასამართლო და სასამართლო განხილვის პრობლემა. შესწავლილია დაზარალებულის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრის თავისებურება და მის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდების ან ცრუ ჩვენების მიცემის შედეგები. განხილულია მიზეზობრივი კავშირის შესაძლებლობა მსხვერპლის ცხოვრების წესსა და მის ვიქტიმიზაციას შორის. გაანალიზებულია, თუ რამდენად მოქმედებს ცხოვრების სტილის სხვადასხვა ფაქტორები კრიმინალურ სიტუაციაზე. ხაზგასმულია სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე დაზარალებულის როლის და ასევე დაზარალებულის ინფორმაციასთან დაკავშირებული მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხების აქტუალობაზე. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საპროცესო მდგომარეობის ფარგლების განსაზღვრას, რომელიც ეხება დაზარალებულს, როგორც პროცესის მონაწილეს. ამ საკითხების გარდა, სტატიაში განხილულია სასამართლო შეცდომები და დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა.

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტი.

2. დაზარალებულის სისხლის სამართლის მართლსაჯულების სისტემაში მოხვედრის თავისებურება

დაზარალებულს შეუძლია სისხლის სამართლის პროცესში ჩაერთოს რამდენიმე გზით: 1) დაზარალებულს დანაშაულისაგან მიადგა ზიანი ან რაიმე სხვა ვნება და ამის შესახებ აცნობებს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს (დაუყოვნებლივ ან საბოლოოდ); 2) დაზარალებულს მიადგა ზიანი და ამის შესახებ სხვა პირები აცნობებენ ხელისუფლებას (მშობელი, საყვარელი ადამიანი, ექიმი, მასწავლებელი, უცნობი, მოწმე და ა.შ.); 3) დაზარალებულმა (დანაშაულის მსხვერპლმა) განიცადა ზიანი ან ზარალი და ამას თავად ხელისუფლება აცნობებს; 4) დაზარალებულები (მსხვერპლები) აცნობებენ ჩადენილი დანაშაულის შესახებ საკუთარი თავის ან სხვებისთვის მიყენებული ზიანის თაობაზე იმ მიზნით, რომ მომავალში განხორციელდეს დანაშაულის პრევენცია, მოხერხდეს დამნაშავის დაკავება და დასჯა, განხორციელდეს ქონების დაბრუნების ხელშეწყობა.[1]

დანაშაულის შეტყობინებების შესახებ გადაწყვეტილება ყოველთვის არ არის მთლიანად დაზარალებულის გადასაწყვეტი. შეტყობინებას ახორციელებენ შემდეგი სუბიექტები: პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ რეგულარული კონტაქტი კრიმინალურ ჯგუფებთან, როგორიცაა სექსუალური დამნაშავეები, ნარკომანები, პატიმრები; პირობით ვადამდე გათავისუფლებულები, ბავშვები, მოხუცები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი, პირები, რომლებიც კანონით ვალდებულნი არიან შეატყობინონ დანაშაულის, ძალადობის ან უგულებელყოფის მტკიცებულებები; პირობით ვადამდე გათავისუფლების ოფიცრები, მასწავლებლები, დღის მოვლის მუშაკები, სოციალური მუშაკები, ქალთა უფლებების დამცველები, ბავშვთა დამცველები, პოლიციის ოფიცრები, ექიმები, ექთნები და ფსიქიკური ჯანმრთელობის პროვაიდერები; ჟურნალისტები, რომლებიც ვალდებულნი არიან აცნობონ ხელისუფლებას, როდესაც დაზარალებულები აცნობებენ მათ მიმართ განხორციელებული დანაშაულის შესახებ[2] და ა.შ.

ძალადობრივ დანაშაულთან მიმართებაში სამართალდამცავი ორგანოების როლი ორიენტირებულია საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და დანაშაულის პრევენციაზე. პოლიციის უპირველესი როლი კანონის აღსრულებაა. მსხვერპლთა პირველი კონტაქტი პოლიციასთან ჩვეულებრივ ხდება მაშინ, როდესაც ისინი დახმარებას ითხოვენ ან საჩივარით მიმართავენ. საჩივრები ან მხარდაჭერის ზარები ჩვეულებრივ იწვევს ინციდენტის (შემთხვევის) მოხსენებას. პოლიციას შეუძლია დაზარალებულთან და მოწმეებთან აწარმოონ გამოკითხვა, რათა შეაფასონ, არის თუ არა საკმარისი მტკიცებულება ბრალდებისთვის.[3]

ადვოკატი, რომელიც დაზარალებულს შეუძლია თვითონ აიყვანოს სამართლებრივი კონსულტაციის მიზნით, არის დამაკავშირებელი დაზარალებულის (მსხვერპლის) ან/და დაზარალებულის ოჯახსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის. ის ხელს უწყობს რესურსების ორგანიზებას და დაზარალებულის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, ასევე მოქმედებს, როგორც შუამავალი, ეხმარება კოორდინაცია გაუწიოს საჯარო ხელისუფლებისა და კერძო ორგანიზაციების სერვისებს, რომლებიც შეიძლება იყოს სასარგებლო. ადვოკატი ასევე უხ-

---

1 *Turvey B., Petherick W.*, Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 34.

2 *Turvey B., Petherick W.*, Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 37.

3 იქვე, 38.

სნის დაზარალებულს სისხლის სამართლის სისტემის თავისებურებებს.[4] ადვოკატები ემსახურებიან დაზარალებულს, რათა, პირველ რიგში, გაუწიონ მათ ფსიქოლოგიური და სხვა სახის დახმარება სამართალწარმოების პრობლემატიკის გადაწყვეტაში.

დაზარალებულსა/მსხვერპლსა და მართლმსაჯულების სისტემას შორის თავდაპირველი კონტაქტი ჩვეულებრივ ხორციელდება დაზარალებულსა და მოწმეს შორის, ან დაზარალებულსა და პოლიციას შორის.

კრიმინოლოგიური კვლევები აჩვენებენ, რა შეიძლება მოხდეს რეალურ სამყაროში, როდესაც დაზარალებულს/მსხვერპლს უგულებელყოფენ ან მისი არ სჯერათ. გაუპატიურების მსხვერპლმა შეიძლება დააკაკუნოს უცნობის კარზე და სთხოვოს პოლიციის გამოძახება; თავდასხმის მსხვერპლი შეიძლება ნახევრად ცნობიერებადაკარგული იპოვოს გამვლელმა ხეივანში; ან მასწავლებელი შეიძლება იყოს პირველი, რომელმაც შეამჩნია სკოლაში სროლის მსხვერპლი. ასეთ შემთხვევებში პირველადი კონტაქტი მსხვერპლსა და მართლმსაჯულების სისტემას შორის ხდება არა პოლიციის, არამედ თანამოქალაქეების მეშვეობით, რომლებიც საჭირო დროს საჭირო ადგილას არიან დასახმარებლად.[5]

დაზარალებულთა (დანაშაულის მსხვერპლებსა) და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს შორის, რომლებსაც დანაშაულის გამოძიება ევალებათ, რიგ შემთხვევებში არსებობს ინტერესთა დაპირისპირება. დაზარალებული (მსხვერპლი) ავითარებს თავის პოზიციას პიროვნული და ემოციური კონტექსტიდან, სადაც იგი ცდილობს დაიკმაყოფილოს მისი მოთხოვნილებები, რომლებიც დაკავშირებულია მის ზიანსა და დანაკარგებთან. სისხლის სამართლის მწარმოებელი ორგანოს წარმომადგენლები კი გამოდიან ობიექტური და პროფესიული კონტექსტიდან, როდესაც, უარის შემთხვევაში, დაზარალებულის ქცევისადმი შეიძლება არსებობდეს გარკვეული აპათია. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ამ დაპირისპირების საფუძველია უფლებამოსილების საკითხები, რომლებიც არაერთხელ დგება დაზალალებულთა ყველა კატეგორიისა და სისხლის სამართლის მართლსაჯულების სისტემის ნებისმიერ ეტაპზე. დაზარალებულთა უფლებები, რომლებიც მოწესრიგებულია საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების საფუძველზე, მიზნად ისახავენ დაზარალებულთა გაძლიერებას, დაზარალებულთა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ურთიერთობის დარეგულირებას, თუმცა არსებული სამართლებრივი ურთიერთობები საბოლოოდ მაინც არათანაბარი რჩება.

ვიქტიმოლოგები ამახვილებენ ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ პოლიციის თანამშრომლებმა, პროკურორებმა და მოსამართლეებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ სისხლის სამართლის საკითხებში ობიექტური და მიუკერძოებელი მიდგომის შენარჩუნება აუცილებელია მათი მუშაობისთვის. ეს მიდგომა ხშირად ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების თანამშრომლები თავს ხედავენ დანაშაულის გამხსნელებად და არა დაზარალებულთა (მსხვერპლთა) თანაშემწეებად. ასეთი მიდგომა რატომღაც იწვევს დაზარალებულებთან (მსხვერპლებთან) ურთიერთობის შეზღუდვას. პროკურორები, რომლებიც აწარმოებენ გაუპატიურების საქმეებს, უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებენ მტკიცებულებების წარდგენაზე, რომლებიც, მათი შეფასებით, დაარწმუნებენ მოსამართლეებსა (სსამართლოს) და ნაფიც მსაჯულებს, რომ გაუპატიურება რეალურად მოხდა, ვიდრე დაზარალებულის (მსხვერპლის) ემოციურ მომზადებაზე ჩვენების მისაცემად. როგორც დადგენილია კრიმინოლოგების მიერ,

---

[4] იქვე, 39.

[5] *Turvey B., Petherick W.*, Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 41.

გამომძიებლები (დეტექტივები) და პროკურორები თავიანთ როლს და დაზარალებულის როლს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში განიხილავენ იმ პერსპექტივიდან, რომელიც ეწინააღმდეგება დაზარალებულის ინტერესებს და, შესაძლოა, ზიანიც კი მიაყენოს მას.[6] ამავე დროს კრიმონოლოგები ადგენენ, რომ მართლმსაჯულების სისტემა მუშაობს ისე, რომ პროკურორები მიდრეკილნი არიან დახურონ საქმეები, რათა თავიდან აიცილონ სასამართლოში საქმის გადაცემა, მით უმეტეს, თუ მათ აქვთ ბევრი საქმე და თავიდანვე არ აწარმოებენ კომპეტენტურ გამოძიებას. ასე ხდება უმეტეს შემთხვევაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, და ხშირად პირდაპირ ეწინააღმდეგება დაზარალებულის სურვილებს და მის უსაფრთხოებას. [7]

ფსიქოლოგები თვლიან, რომ სიტუაციებზე პირადი კონტროლის გრძნობა დადებითად მოქმედებს დაზარალებულთა (მსხვერპლთა) კეთილდღეობაზე. კრიმინოლოგებმა დაადგინეს დადებითი კავშირი მკვლელობის საქმეზე სისხლის სამართლის სისტემის ობიექტურ მუშაობასა და დაზარალებულთა (მსხვერპლთა) ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის. წამოყენებულია იდეა, რომ დაზარალებულის ჩართვა სისხლის სამართლის პროცესში ხელს შეუწყობს კონტროლის აღდგენას და გამოასწორებს მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. მაგრამ ასე ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი პროცესში ჩართულობა მიდის ისე, როგორც ეს დაზარალებულს სურს[8]. გარდა ამისა, დადგინდა, რომ პოლიციის პასუხისმგებლობის საკითხი ვიწროდ არის გაგებული. საჯარო მოვალეობის ეს დოქტრინა აყალიბებს სამართლებრივ ურთიერთობას პოლიციას, საზოგადოებასა და ცალკეულ მოქალაქეებს შორის. საჯარო მოვალეობის დოქტრინის თანახმად, პოლიცია არ არის ვალდებული უპასუხოს მოქალაქეების ინდივიდუალურ მოთხოვნებს. მაშასადამე, ვინაიდან ეს მოვალეობა მთლიანად საზოგადოებას ეკისრება, არ არსებობს ზრუნვის მოვალეობა ცალკეულ პირებზე.[9]

3. დაზარალებულის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდების ან ცრუ ჩვენების მიცემის პრობლემები

დაზარალებულის (მსხვერპლის) რეალური განცხადებისგან განსხვავებით, პრაქტიკაში გამოირჩევა ე.წ. დაზარალებულის (მსხვერპლის) ცრუ განცხადებები. ვიქტიმოლოგია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ ფენომენს. თუმცა, ცრუ შეტყობინებების თემაზე მწირი პროფესიული ლიტერატურაა დაწერილი. მაგალითად, ძალიან ცოტა სამეცნიერო კვლევაა ჩატარებული ცრუ ინფორმაციის მიწოდების სიხშირის ან პროცენტის დასადგენად. უფრო მეტიც, გამოქვეყნებულ ლიტერატურაში მწირია ზოგადად კვლევები ცრუ ჩვენების მიცემის საკითხებზე.[10] ცრუ ინფორმაციის მიწოდების ტიპიური მაგალითია ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტის 20 წლის კოლეჯის სტუდენტის შემთხვევა, რომელმაც გააყალბა საკუთარი გატაცება და ტყუილად შეატყობინა პოლიციას. პოლიციამ მალევე დაადგინა, რომ მას ჰქონდა პრობლემები შეყვარებულთან და ამიტომ, ყურადღების მიქცევის მიზნით, მოაწყო გატაცე-

[6] იქვე, 49.
[7] *Turvey B., Petherick W.*, Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 50.
[8] იქვე, 50.
[9] იქვე, 51.
[10] იქვე, 271-272.

ბა.[11] მსგავსი შემთხვევები შეინიშნება ცრუ გაუპატიურების ინფორმაციის მიწოდების შესახებაც და ა.შ.

ყველა ეს და სხვა ფაქტორი გავლენას ახდენს გამოძიებასა და შესაძლო სასამართლო დევნაზე. ეს არის სფერო, რომელიც საჭიროებს შემდგომ განხილვას და შესწავლას, რათა დავიცვათ ცრუ ბრალდებების ყველა სავარაუდო მსხვერპლი, მიუხედავად მტკიცებულებებისა. ამასთან ერთად ვიქტიმოლოგები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ადამიანებმა, რომლებიც იძლევიან ცრუ ცნობებს, შეიძლება ახსნან საკუთარი ქმედება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებით, ეს არანაირად არ ცვლის მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს. ვიქტიმოლოგები ასევე ამჩნევენ, რომ ისინი, ვინც ახორციელებს გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობას, მოტივაციაში ზოგადად არ განიხილავენ ცრუ ცნობების მიწოდების აუცილებლობას. ამავე დროს პროცესის ბევრი მონაწილე შიშობს, რომ ცილისწამების შესახებ ფაქტების მიწოდებას შეიძლება მიეცეს პოლიტიკური ელფერი.[12] ეს ორივე ფაქტორი ართულებს ცრუ ინფორმაციის მიწოდების ფაქტის შეფასებას. ამ მიმართულებით საინტერესოა გაუპატიურების ვიქტიმიზაციის მკვლევარის მიშელ ანდერსონის მოსაზრებები. მეცნიერების ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასებისას, იგი აღნიშნავს, რომ ნამდვილად არის პიროვნული აშლილობები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მამაკაცის ან ქალის მოტყუება ნებისმიერი, მათ შორის დანაშაულის შესახებ ყალბი შეტყობინების მიწოდების, გზით. თუმცა, არ ჩატარებულა კონკრეტული ემპირიული კვლევა, რომელიც აკავშირებს რომელიმე პიროვნულ აშლილობას პოლიციაში გაუპატიურების შესახებ ცრუ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, არც წარსულში და არც ამჟამად არ არსებობს სანდო ემპირიული მონაცემები გაუპატიურების შესახებ ცრუ ჩვენების მიცემაზე.[13]

თუმცა, ვიქტიმოლოგია აღნიშნავს, რომ სექსუალური ძალადობის შესახებ განცხადების წარდგენისას, გამომძიებლებს ზოგჯერ უწევთ ბალანსირება მსხვერპლის მხარდაჭერასა და იმის დადგენის შორის, არის თუ არა სექსუალური ძალადობის შესახებ განცხადება ცრუ. სექსუალური დანაშაულის გამომძიებლებმა კარგად იციან, რომ სექსუალური ძალადობის შესახებ ცრუ შეტყობინება ჩვეულებრივი მოვლენაა. ცრუ ბრალდებების ფაქტს ახლავს რამდენიმე პრობლემა, რომელიც უნდა გადაწყდეს დაბალანსებული გზით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ განმცხადებლებს შეუძლიათ სრული სიმართლის თქმა ან ინფორმაციის დამალვა სხვადასხვა მიზეზის გამო. ის ფაქტი, რომ ვიღაცამ დაადგინა, რომ განმცხადებელი იტყუებოდა ერთ სფეროში, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მან მოიტყუა ყველა სფეროში, ან რომ მასზე არ მომხდარა თავდასხმა. მაგალითად, მსხვერპლს შეუძლია შეატყობინოს გაუპატიურების შესახებ, ხოლო სავარაუდო დანაშაულის ადგილის შესწავლამ შეიძლება დაადგინოს, რომ ინფორმაცია არ არის საიმედო ამ ადგილზე არსებული პირობებით, რაც მტკიცებულებებით არ დასტურდება. შესაძლოა შეტყობინება იყოს უსაფუძვლო ან დაზარალებულს (მსხვერპლს) რაიმე მიზეზით არ სურდეს რეალური დანაშაულის ადგილის მითითება. მნიშვნელოვანია გამოძიების ადრეულ ეტაპზე შეუსაბამობების აღმოფხვრა ცრუ ინფორმაციის დადგენისათვის ან რეალური კრიმინალის სისხლისსამართლებრივი დევნისათვის. მაგრამ შეიძლება ასევე მოხდეს,

---

[11] იქვე, 267.

[12] *Turvey B., Petherick W.*, Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 272.

[13] *Anderson M.*, The Legacy of the Prompt Complaint Requirement, Corroboration Requirement, and Cautionary Instructions on Campus Sexual Assault, Boston University Law Review 84, 2004, 984-986.

რომ დაზარალებულს (მსხვერპლს) რაიმე მიზეზით არ სურდეს ნამდვილი დანაშაულის ადგილზე მისვლა.[14]

ვიქტიმოლოგიურ ლიტერატურაში განხილულია ცრუ შეტყობინების დეტალები, რასაც გამოძიებამ ყურადღება უნდა მიაქციოს. გამოძიების საგანი უნდა იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც ფსევდოდაზარალებული მხარდაჭერის მოპოვების მიზნით აყენებს საკუთარ თავს ზოგჯერ სერიოზულ ან ყალბ დაზიანებებს. აღნიშნულის თაობაზე ძალიან ბევრი ემპირიული ვარიანტია აღწერილი. მათ შეიძლება მიმართონ სიტუაციის ცრუ აღწერას, რომელსაც ავრცელებენ მედიის, მოწმეების და სხვა საშუალებებით. რთულია გაანალიზება, რამდენად სასარგებლოა ასეთი ინფორმაცია. მაგალითად, შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხუთი თავდამსხმელი თავს დაესხა მსხვერპლს, რის შედეგად მას მიაყენეს სხვადასხვა დაზიანებები, მაგრამ კონკრეტული სიტუაციის ანალიზი მიუთითებს, რომ ეს ინფორმაცია ბუნდოვანია. თავდასხმის ადგილმდებარეობის არასწორმა მითითებამ შასაძლოა წარმოშვას პრობლემები ფაქტების დადგენაში. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, იძლევა თუ არა დაზარალებულის მიერ საჩივარში აღწერილი გარემოებები რეალური ფაქტების დადგენის ოპტიმალურ შესაძლებლობას.[15]

ამერიკელი ვიქტიმოლოგის ჟიულ ეპშტეინის თქმით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი მომენტები: ყალბი შეტყობინება ძალადობრივი სექსუალური კონტაქტის შესახებ, როდესაც არ ყოფილა სექსუალური ქცევა; ცრუ პრეტენზია იძულებითი კონტაქტის დროს, როდესაც ფაქტობრივი შეხვედრა იყო კონსენსუალური; ან კონკრეტული პირის ცრუ ბრალდება, როდესაც განმცხადებელმა იცის, რომ სხვა იყო მისი თავდამსხმელი. გამოძიებამ უნდა დაადგინოს დასაშვებობის სტანდარტები. კითხვის დასმისას „კეთილსინდისიერების" მოთხოვნა აუცილებელი სტანდარტია. სახელმძღვანელო სტანდარტი უნდა იყოს ინფორმაცია, რომელსაც პროცესი იყენებს ყველა მტკიცებულებისთვის. გამოძიების სტანდარტებმა თავიდან უნდა აიცილონ ცრუ ინფორმაცია და ზიანი, რაც დაცული უნდა იყოს კანონებით. ბრალდების მხარის მიერ „ცრუ ბრალდების" მტკიცებულებების დროული გამოვლენა უზრუნველყოფს წინასასამართლო სხდომის ეტაპზე მხოლოდ სწორი მტკიცებულებების წარდგენას და შემდგომში სათანადო დაკითხვის ჩატარებას.[16]

გამოძიების ეტაპზე ასევე შეიძლება წარმოიშვას პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია გამოძიების მიმართ პოლიციის აპათიასთან. ძალიან ბევრი გამომძიებელი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გამოძიების პრობლემები ახსნას დაზარალებულის ისტორიაში არსებული ფაქტობრივი შეუსაბამობებით. შეუსაბამობები, რომლებიც არ იყო გამოძიებული, უნდა ჩაითვალოს საეჭვოდ. შედეგების მიუხედავად, სავარაუდო დაზარალებულის მიერ გაკეთებული ყველა განცხადება გულდასმით უნდა იყოს შესწავლილი და ახსნილი, ლოგიკაში აღმოჩენილი ხარვეზების შემთხვევაში.[17]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არსებობს სხვა მოსაზრებებიც, რომლებიც ხელს უწყობს გამომძიებლებს, ექსპერტებს და მართლსაჯულების სხვა მონაწილეებს უარი თქვან ყალ-

---

[14] *Turvey B., Petherick W.*, Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 277-278.

[15] იქვე, 278 -279.

[16] *Epstein J.*, True Lies: The Constitutional and Evidentiary Bases for Admitting Prior False Accusation Evidence in Sexual Assault Prosecutions, Quinnipiac Law Review № 24, 2006, 609-658.

[17] *Turvey B., Petherick W.*, Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 281-282.

ბი ცნობების იდენტიფიცირებაზე და შესწავლაზე. აპათიის გარდა, გამოძიების ობიექტურობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს საერთო პოლიტიკურმა გარემომ. პოლიტიკური ანგარიშსწორების შიში, როგორც წესი, იწვევს ყალბი ცნობების სწორად იდენტიფიცირებისა და გამოძიების შეუძლებლობას.[18] განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ნივთიერი მტკიცებულებების შეგროვება და შეფასება. გამოძიების დროს ნივთიერი მტკიცებულება ხშირად შეუმჩნეველი ხდება, ჯერ ერთი, მისი იდენტიფიკაციისა და შეგროვების თვალსაზრისით, და მეორეც, დანაშაულის (მაგ. დაზარალებულის მიერ აღიარების შედეგად) აღწერილობის და ადგილზე აღმოჩენილ მტკიცებულებების შესატყვისობის თვალსაზრისით.[19]

4. ვიქტიმურობის თავისებურება სასამართლო განხილვის ეტაპზე

სასამართლო განხილვის ეტაპზე ძალზე აქტუალურია დაზარალებულის როლის საკითხი და ასევე დაზარალებულის შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებული მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხები. ვიქტიმოლოგიურმა ანალიზმა, რომლის მიზანია დაზარალებულთა და მათ მიერ განცდილი ზიანისა და ზარალის წარმოჩენა, მათი დღევანდელი ბუნებისა და წარსულის დადგენა, შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[20] დაზარალებულის როლი სასამართლო პროცესში იწყება სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის დაწყებიდან, რის შედეგადაც მრავალი აქტუალური საკითხი ჩნდება.[21]

სასამართლო სტადიაზე მტკიცებულებათა დასაშვებობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. ზოგიერთი იურისდიქცია შემოიფარგლება იმით, რომ პროკურორებმა შეიძლება მოითხოვონ დაზარალებულთან კონსულტაციები საპროცესო შეთანხმების დადების დროს. თუმცა ამასთან დაკავშირებით საპირისპირო აზრია გამოთქმული. როგორც აღინიშნა, უფრო მნიშვნელოვანია სასამართლო განხილვის სტადიაზე დაზარალებული ჩართული იყოს სასამართლო პროცესში და უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა, როგორც მნიშვნელოვანმა მოწმემ. ეს ნიშნავს, რომ დაზარალებულების მიმართ არ შეიძლება იმ წესების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუშლიან მათ სასამართლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას. დაზარალებულს ან დაზარალებულის ოჯახს უნდა ჰქონდეს აბსოლუტური უფლება მისცეს ჩვენება ბრალის შერაცხვის და მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპებზე, ასევე სასჯელის დადგენისას, მაშინაც კი, თუ მის მიერ მიცემულ ჩვენებას უმნიშვნელო მტკიცებულებითი მნიშცნელობა აქვს და ბრალდებულისთვის საზიანოა.[22] დაზარალებულთა როლი მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმარონ იმის დემონსტრირებაში, თუ როგორ განვითარდა მოვლენები, რამაც ზიანი გამოიწვია. გარდა ამისა, დაზარალებულმა და მის წარმომადგენლებმა უნდა დაამტკიცონ, რომ იგი მართალია და ზიანის მიყენებაში წვლილი არ მიუძღვის.[23]

---

[18] იქვე, 282.

[19] *McGrath M.*, False Allegations of Rape and the Criminal Profiler, The Journal of Behavioral Profiling 1, №. 3, 2000, 87.

[20] *Pokorak J.*, Rape Victims and Prosecutors: The Inevitable Ethical Conflict of De Facto Client/Attorney Relationships, South Texas Law Review, Spring, №. 48, 2007, 697–699.

[21] *Gruber A.*, Victim Wrongs: The Case for a General Criminal Defense Based on Wrongful Victim Behavior in an Era of Victims' Rights, Temple Law Review, № 76, Winter, 2003, 654–657.

[22] *Turvey B., Petherick W.*, Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 476.

[23] *Simmons R.*, Private Criminal Justice, Wake Forest Law Review № 47, Winter, 2007, 315.

შემდეგი საკითხი არის მტკიცებულებების დასაშვებობა. საკითხი, დასაშვები უნდა იყოს თუ არა გარკვეული მტკიცებულება ან ინფორმაცია, აქტუალურია ნებისმიერ სასამართლოში. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა საკითხი წყდება მოსამართლის შეხედულებისამებრ. როგორც ვიქტიმოლოგები აღნიშნავენ, არსებობს გარკვეული წესები, რომლებიც უნდა დაიცვან მოსამართლეებმა, რომლებიც პროცესის მსვლელობისას გამორიცხავენ გარკვეულ მტკიცებულებებს.[24] აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ე.წ. „პრივილეგიის წესები" (ჩვენს შემთხვევაში, მოწმის იმუნიტეტის ინსტიტუტი). ეს წესები მიზნად ისახავენ იმის უზრუნველყოფას, რომ რელევანტურად მიჩნეულმა მტკიცებულებებმა (ინფორმაცია, რომელიც იმუნიტეტის მქონე პირებისგან შეიძლება იყოს მიღებული) არ შეიყვანონ სასამართლო შეცდომაში და არ გადაიტანონ ყურადღება ძირითადი ამოცანისგან. ამ წესებიდან გამომდინარე, დაზარალებულს (მსხვერპლს) შეუძლია გააცნობიეროს მნიშვნელოვანი ვიქტიმოლოგიური მტკიცებულება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქმისთვის. თუმცა, ეს პირები შეიძლება გათავისუფლდნენ ჩვენების მიცემისგან გარკვეულ ფაქტებთან დაკავშირებით ან ზოგადად ჩვენების მიცემისგან რიგი პრივილეგიების საფუძველზე. მაგალითად, ბრალდებულის ადვოკატმა შეიძლება მოითხოვოს ყველა დაზარალებულისთვის წარსული მკურნალობის ჩანაწერები, რათა დადგინდეს, აკეთებენ თუ არა ისინი ცრუ განცხადებებს სხვადასხვა სამედიცინო მიზეზების გამო.[25] რა თქმა უნდა, სასამართლოს შეუძლია მიიღოს ან უარყოს ეს მოთხოვნა. ამასთან, ვიქტიმოლოგები ეყრდნობიან აშშ-ს უზენაესი სასამართლოს სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც განსაზღვრავენ სასამართლოების მიმართულებას.

ამ სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, მოსამართლემ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს:

- საჭიროა თუ არა ოქმები სრული რეაგირებისა და დაცვისთვის;
- ატარებს თუ არა ჩანაწერი მტკიცებულებით ხასიათს;
- არის თუ არა დაცული ჩანაწერების კონფიდენციალურობა, მისი გონივრული მოლოდინის მოცულობა და ბუნება;
- ეფუძნება თუ არა ჩანაწერი რაიმე დისკრიმინაციულ რწმენას ან ცრურწმენას, განმცხადებლის ღირსებას და უსაფრთხოებას.

მხოლოდ თითოეული ფაქტორის გულდასმით განხილვის შემდეგ მოსამართლეს შეუძლია გადასცეს ჩანაწერები ბრალდებულს.[26] ასეთი წესების საჭიროება განპირობებულია იმით, რომ ზოგიერთი მოსამართლე ინტუიციას ეყრდნობა, რაც ძალიან საშიშია. სამწუხაროდ, ასეთი მიდგომა ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს საქმის ობიექტურად წარმართვას, რადგან კოგნიტურმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსამართლეები ისევე არიან მიდრეკილნი მიკერძოებასა და შეცდომებისკენ, როგორც პროცესის სხვა მონაწილეები.[27] ზოგიერთ შემთხვევაში ინტუიციურმა მიდგომამ შეიძლება კარგად იმუშაოს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს მცდარი და უსამართლო შედეგები.[28]

---

[24] *Murphy P.*, Murphy on Evidence, 10th ed. New York: Oxford University Press, 2008, 109.

[25] *Turvey B., Petherick W.*, Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 477-478.

[26] იქვე, 478.

[27] *Guthrie C., Rachlinski J., Wistrich A.*, Blinking on the Bench: How Judges Decide Cases, Cornell Law Review № 93, 2007, 43.

[28] *Turvey B., Petherick W.*, Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 190.

მართლმსაჯულების განხორციელებისას მნიშვნელოვანია დაზარალებულის დაცვის საკანონმდებლო რეგულირება. მაგალითად, აშშ-ის ფედერალური კანონი კრძალავს სასამართლოში დაზარალებულის (მსხვერპლის) მხრიდან წინასწარი სექსუალური ქცევის ან სექსუალური განწყობის შესახებ ნებისმიერი მტკიცებულების გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მტკიცებულება არ შედის კონკრეტულად ჩამოთვლილ გამონაკლისებში. ყველა შემთხვევაში აუცილებელია დაზარალებულთა შესახებ ინფორმაციის ობიექტურად შეგროვება, შესწავლა და გამოკითხვა.[29]

მართლმსაჯულების განხორციელებისას ძალზე მნიშვნელოვანია დაზარალებულზე (მსხვერპლზე) ზემოქმედების განაცხადის ობიექტური განხილვა. დანაშაულის ცოცხალი მსხვერპლები მიუთითებენ პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობაზე, დეპრესიაზე, ძილის დარღვევაზე, გაუცხოებაზე, შიშზე და სხვა მოვლენებზე. დანაშაულის ეს შედეგები ყოველთვის არ არის ნათელი სასამართლო განხილვისას სხვადასხვა მიზეზის გამო, ან შეიძლება ნათლად არ იყოს გამოხატული სასამართლო პროცესის დროს. შემდგომში, ზოგიერთი სასამართლო აღიარებს აშკარა აუცილებლობას, რომ მოსამართლემ იცოდეს ეს გავლენა.[30] როგორც მართებულად არის აღნიშნული ვიქტიმოლოგიურ ლიტერატურაში, სასჯელის გამოტანის დროს სამართალწარმოებაში არსებულ საქმეების გადაწყვეტის პრაქტიკაში დაზარალებულის როლი განიცდის ევოლუციას. ამიტომ, დაზარალებულთა უფლებების დამცველები მოუწოდებენ დაზარალებულთა უფრო აქტიურ მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში.[31]

ვიქტიმოლოგიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულისა და მისი ახლობლების მიერ მიწოდებული ინფორმაციის დასაშვებობას. ამ მხრივ საინტერესოა შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ მერილენდის კანონის ბათილად ცნობის შემთხვევა, რომელიც მოითხოვდა დაზარალებულის (მსხვერპლის) განცხადების გათვალისწინებას სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანისას. სასამართლომ დაადგინა, რომ 1983 წელს ჯონ ბუტმა და მისმა თანამზრახველმა ჩაიდინეს ძარცვა. იმის შიშით, რომ მეზობლებს ის არ ეცნოთ, ბუტმა მეზობლების მკვლელობაც ჩაიდინა. სასამართლო პროცესზე დაზარალებულთა ახლობლებმა განაცხადეს იმ გრძნობებზე, რომლებიც მათ განიცადეს დანაშაულის შემდეგ. მაგრამ უზენაესმა სასამართლომ ეს ჩვენება დაუშვებლად ცნო. უზენაესი სასამართლოს აზრით, მკვლელობებით გამოწვეული ოჯახის მწუხარების დეტალური აღწერა სხვა მიზანს არ ემსახურებოდა, გარდა კრიმინალური ფაქტის შესახებ ნაფიც მსაჯულთა გაღიზიანებისა. სასამართლომ დაასკვნა, რომ ასეთი ემოციურად დატვირთული მოსაზრებების დაშვება ეწინააღმდეგება არგუმენტირებულ გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც საჭიროა განაჩენის გამოტანისას. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაზარალებულზე (მსხვერპლზე) ზემოქმედების მტკიცებულება, რომელიც ასახავს ოჯახის ემოციურ სტრესს და დაზარალებულთა მახასიათებლებს, შეუსაბამო იყო სასიკვდილო განაჩენის გამოტანისათვის. სასამართლომ განმარტა, რომ ასეთი მტკიცებულებები შეიძლება სრულიად არ იყოს დაკავშირებული დამნაშავის „ბრალთან“ და ამ უკანასკნელმა შეიძლება გამოიწვიოს ისეთი განაჩენი, რომელიც ეფუძნება დამნაშავისათვის უცნობ ფაქტებს მკვლელობის გადაწყვეტილების მიღებისას.[32]

---

[29] იქვე, 482.

[30] იქვე, 483.

[31] *Myers B., Green E.*, The Prejudicial nature of Victim Impact Statements, Psychology, Public Policy, and Law, Vol. 10, 2004, 492-511.

[32] *Turvey B., Petherick W.*, Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 485-486.

5. იმ გარემოებათა წრის განსაზღვრა, რომელიც ეხება დაზარალებულს

დანაშაულისწინა არსებული გარემოებებისა და მათი ურთიერთქმედებების დადგენა, რომლებიც ქმნიან დაზარალებულსა (მსხვერპლსა) და დამნაშავეს შორის ურთიერთობებს, ხშირად რთული ამოცანაა. დაზარალებული შეიძლება დამნაშავის მიერ სპეციალურად ან სიტუაციურად იყოს არჩეული. ყველა შემთხვევაში შესაძლებლობის ფუნქცია დაკავშირებულია ადგილის, დროის ან დამნაშავის თავისებურებებთან. სასამართლო ვიქტიმოლოგებს ესმით, რომ ურთიერთობების დინამიკის შესწავლა შეიძლება გახდეს ნებისმიერი რაოდენობის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და სასამართლო კითხვებზე პასუხის გაცემის საფუძველი. ამისათვის საჭიროა შევისწავლოთ ის ჭეშმარიტი და ზუსტი როლი, რომელიც დაზარალებულმა (მსხვერპლმა) ითამაშა არსებული შედეგის დადგომის პროცესში. თითოეულ შემთხვევაში, შესაძლებელია გამოვლინდეს რამოდენიმე გარემოება ფაქტის განხილვისა და გამორიცხვისთვის, და საბოლოო მტკიცებულება შეიძლება ყოველთვის არ იყოს აშკარა.[33]

დაზარალებულის ქცევა შეიძლება იყოს არა მხოლოდ არასწორი, არამედ უზნეოც. დაზარალებულის უზნეობა კონკრეტული დანაშაულის მიზეზთა პრობლემისა და დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის გარკვევის გასაღებია. ამ შემთხვევაში რაც უფრო მნიშვნელოვანია (პროვოკაციულია) დაზარალებულის როლი კონკრეტულ დანაშაულში, მით მეტი ყურადღებით უნდა შეფასდეს დანაშაულის ჩამდენის პიროვნება. სისხლის სამართალში ამ გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს სასჯელის შემსუბუქება ან სასჯელისაგან გათავისუფლება.[34]

ვიქტიმოლოგიურ თეორიაში არსებით ფაქტორად წარმოგვიდგება „დაზარალებულის ბრალის“ დადგენა დანაშაულში, რის შედეგადაც იგი თვითონვე დაზარალდა. ამ შემთხვევაში „დაზარალებულის ბრალზე“ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ პირობითად. ბრალი და „დაზარალებულის ბრალი“ ახლომდგომი, მაგრამ არაიდენტური ცნებებია. ამ ცნების გამოყენებისას საუბარია დანაშაულის ერთ-ერთი „მონაწილის“ – დაზარალებულის ქცევის განსაზღვრულ ფორმაზე და არა მის პასუხისმგებლობაზე სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით.[35]

კონკრეტული შემთხვევის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დაზარალებულსა (მსხვერპლსა) და დამნაშავეს შორის ურთიერთობის შესწავლას. ამ მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცხოვრების სტილის ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ ზოგადად უზრუნველყონ ზიანის ზემოქმედება მსხვერპლზე და გავლენა მოახდინონ ვიქტიმიზაციის შემდგომ დინამიკაზე. როგორც ამერიკელმა მეცნიერებმა აღნიშნეს, მიზეზობრივი კავშირი მსხვერპლის ცხოვრების წესსა და მის ვიქტიმიზაციას შორის ყოველთვის არ არის ნათელი. ეს განპირობებულია იმით, რომ ძნელია შედარება, თუ რამდენად მოქმედებს ცხოვრების სტილის ერთი ან სხვა ფაქტორი კრიმინალურ სიტუაციაზე. ზოგადად, ცხოვრების წესის ფაქტორებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს დაზარალებულზე (მსხვერპლზე) სამი გზით: მოძალადესთან კონფლიქტის შექმნით; დაზარალებულის (მსხვერპლის) მუდმივი ყოფნით დამნაშავეთა ან დანაშაულისკენ მიდრეკილ პირთა შორის; მოძალადის მიერ დაზარალებულის (მსხვერპლის) დაუცველობის შეცნობით. ცხოვრების სტილის გავლენის უკეთ გასაგებად, სასარგებლო იქნებოდა იმ თეორიული არგუმენტების შესწავლა, რომლებიც საფუძვლად

---

[33] იქვე, 165.
[34] *წულაია ზ.,* კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, თბ., 2005, 127.
[35] იქვე, 126-127.

უდევს დაზარალებულის (მსხვერპლის) ცხოვრების წესს.[36] „ცხოვრების წესის“ თეორიის მიხედვით, პირის ვიქტიმირება გამომდინარეობს მისი ცხოვრების წესიდან, ანუ დაზარალებულის (დანაშაულის მსხვერპლის) ქცევა (ცხოვრების წესი) დაკავშირებულია სხვა პირების დანაშაულებრივ ან ამორალურ საქმიანობასთან. მაგ: ღამის ბარში მომუშავე პირი, რომელსაც მთელი ღამის განმავლობაში ნასვამ სტუმრებთან აქვთ ურთიერთობა, შეიძლება მათთან უსიამოვნო კამათის გამო, ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდეს, ან პირი, რომელიც ღამის საათებში მარტო არის უცხო ქუჩაში (ქალაქში) შესაძლებელია ყაჩაღური თავდასხმის, სხეულის დაზიანების ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდეს. ადამიანებს შორის ცხოვრების წესის ფაქტორის სხვადასხვაობა ვიქტიმოლოგიურ ლიტერატურაში აისახება სოციალური შეჩვევის პროცესებით (შეჩვევა სამსახურის, საცხოვრებელი ადგილის, თავისუფალი დროის, დაწესებულებების). მსხვერპლად გახდომის შესაძლებლობა იზრდება იმის მიხედვით, შეუძლია თუ არა პირს რისკზე წასვლა (მაგ; მოგზაურობა ისეთ რეგიონებში, სადაც შეიარაღებული დაპირისპირებაა. შეიძლება ითქვას, რომ მსხვერპლად გახდომის შესაძლებლობას ზრდის ადამიანის ცხოვრების წესი. მაგ; ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, პროსტიტუცია, ღამის საათებში საშიშ ადგილებში ყოფნა და ა.შ.[37]

ამ მიდგომის მთავარი არგუმენტი არის პოზიცია, რომ დანაშაულებრივი ქმედების დინამიკა არ შეიძლება იყოს სრულად გაგებული მხოლოდ ბრალდებულის მახასიათებლების გათვალისწინებით, არამედ უნდა მოიცავდეს დაზარალებულის როლის შემოწმებასაც.[38] როგორც აღინიშნა, დაზარალებულის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოძალადესთან ურთიერთობაში დაზარალებულისადმი პროვოკაციული, აკომოდირებული ან მიზეზობრივი ფაქტორი, ანუ გათვალისწინებული უნდა იყოს „დანაშაულზე ფუნქციური პასუხისმგებლობა“.[39] როგორც ცნობილია, ამსრულებლის ინტერპრეტაცია ხორციელდება ძველი აქცესორული თეორიის ფარგლებში. მაშინ როცა გერმანულ დოგმატიკაში შემუშავდა ახალი ფუნქციონალური თეორია, რომელსაც იზიარებს მ. ტურავა. ამ თეორიის თანახმად, „დამხმარე“ პირი არ შეიძლება იყოს მხოლოდ დამხმარე, არამედ იგი ფუნქციონალური თანაამსრულებელია.[40] ამ გაგებით, თუ მსხვერპლი თავისი ქცევით „ხელს უწყობს“ დანაშაულის ჩადენას, ის გამოდის გარკვეულწილად ფუნქციონალური თანაამსრულებელი.

დაზარალებულის (მსხვერპლის) ცხოვრების სტილის განხილვისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა დაზარალებულს (მსხვერპლს) დამნაშავესთან. ამ ტიპის ქცევები, როგორც წესი, ვლინდება უცხო ადამიანთან სექსუალურ შევიწროებაში, ოჯახურ მკვლელობებში, სამუშაოსთან დაკავშირებულ კონფლიქტებში და პოლიტიკურ ან რელიგიურ დაპირისპირებასთან დაკავშირებულ საქმეებში. დაზარალებულსა (მსხვერპლსა) და მოძალადეს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით გამოხატულია ყოველ-

---

36 *Turvey B., Petherick W.,* Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 169.

37 *შალიკაშვილი მ.*, კრიმინოლოგია, მესამე გამოცემა, თბ., 2017, 194-199, იხ. ვრცლად, *შალიკაშვილი მ., თანდილაშვილი ხ., ბახტაძე უ.,* ვიქტიმოლოგია, მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2023, 48-61.

38 *Rock P.*, Theoretical Perspectives on Victimization, In Handbook on Victims and Victimology, edited by *Walklate S.*, Portland, OR: Willian Publishing, 2007, 42.

39 *Schafer S.*, The Victim and His Criminal: A Study in Functional Responsibility, New York: Random House, 1968, 55.

40 *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, 337-339.

დღიურ სიტუაციებში.[41] როგორც ბ. ტერვი და ვ. პეტერიკი მართებულად აღნიშნავენ, დაზარალებულის (მსხვერპლის) მოძალადეებთან ურთიერთობის ან ჩართულობის ისტორიამ შეიძლება გაზარდოს გარკვეული სახის ზიანის ზემოქმედება და, შესაბამისად, ზიანის გაზრდის ალბათობა. სასამართლო ვიქტიმოლოგისთვის ამ ისტორიის იდენტიფიცირება და მისი გამოკვლევა ნებისმიერი შეფასების აუცილებელი ნაწილია, რადგან მას შეუძლია უზრუნველყოს როგორც საგამოძიებო ფაქტორები, ასევე რეალური ეჭვმიტანილები.[42]

მოტივაცია შეიძლება წარმოიშვას მრავალი ფაქტორიდან, რომელთაგან თითოეული დამოკიდებულია გარემომცველ გარემოებებზე. კონკრეტული დაზარალებული შეიძლება იყოს დანაშაულის მთელი მიზეზი, ან დაზარალებული (მსხვერპლი) შეირჩეს სხვა კრიტერიუმებით, როგორც დამნაშავის ფანტაზიაში ვერბალური და ქცევითი სცენარისთვის შერჩეული ობიექტი. დამნაშვეთა პროფილირების სპეციალისტმა უნდა განსაზღვროს, თუ რომელი კრიტერიუმით იყო შერჩეული მსხვერპლი კონკრეტულ შემთხვევაში. ამას საუკეთესოდ ადასტურებს დამნაშავის მოტივების შედარება ანუ იმის განსაზღვრა, თუ ვინ იყო სინამდვილეში მსხვერპლი დამნაშავის ნაფიქრალში. ამ მიმართულებით მრავალი კითხვა წარმოიშობა: იყო თუ არა წინასწარ დაგეგმილი კონკრეტული ქმედება დანაშაულის ამსრულებლობისას, რატომ არის მოკლული ან დატოვებული ცოცხლად მსხვერპლი[43] და ა.შ. იმისათვის, რომ ზუსტად დადგინდეს კონკრეტული მსხვერპლის ცხოვრების წესის გავლენა, ზიანი მის მიმართ უნდა შეფასდეს მსხვერპლის ცხოვრების სტილისა და პიროვნული თვისებების კონტექსტში. იმისათვის, რომ ვთქვათ, რომ ცხოვრების სტილის ფაქტორმა გავლენა მოახდინა მსხვერპლი--დამნაშავის დინამიკაზე, ის უნდა იყოს პოტენციურად საშიში იმ გაგებით, რომ მის არსებობას შეუძლია გავლენა იქონიოს ზიანის მიყენების შესაძლებლობაზე.[44]

გამოძიების მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია დაზარალებულის (მსხვერპლის) ცხოვრების წესის ზემოქმედების ფაქტორზე, დაზარალებულთა (მსხვერპლთა), ასევე დაზარალებულთა და დამნაშავეთა ურთიერთობებზე დაყრდნობით. ეს მნიშვნელოვანია, რადგან კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ინფორმაცია დაზარალებულის შესახებ და ასევე განვიხილოთ მისი თვისებები.[45] მეცნიერების შემოთავაზებული კლასიფიკაციის მიხედვით, დაბალი ზემოქმედების მსხვერპლნი არიან ისინი, ვისაც იშვიათად ემუქრება ზიანის ან დაკარგვის საფრთხე. დაბალი რისკის მსხვერპლები არიან ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ რეალური მიზეზი, გახდნენ ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლი. ისინი განსაკუთრებით ზრუნავენ უსაფრთხოებაზე და კარგად იცნობენ გარშემომყოფებს და, ზოგადად, მიუწვდომელი არიან ძალადობრივი დანაშაულისთვის. საშუალო ზემოქმედების მსხვერპლნი არიან ისინი, ვისაც ხანდახან ემუქრება ზიანის ან დაკარგვის საფრთხე. ზოგიერთ ადამიანებს აქვთ რისკის დაბალი დონე, მაგრამ მათი გარემოებები ზრდის რისკის ფაქტორებს. მაღალი ზემოქმედების მსხვერპლნი არიან ისინი, ვისაც რეგულარულად ემუქრება ზიანის ან დაკარგვის საფრთხე. ისინი განსაკუთრებით დაუცველნი და ხელმისაწვდომნი არიან დამნაშავეები-

---

[41] *Turvey B.*, Criminal Profiling: An Introduction to Behavioral Evidence Analysis, 3rd ed San Diego: Elsevier Science, 2008, 285.

[42] *Turvey B., Petherick W.*, Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 172.

[43] *Turvey B., Petherick W.*, Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 176.

[44] იქვე, 184.

[45] იქვე, 196.

სათვის[46]. როგორც ეს განმარტებებიდან გამომდინარეობს. მნიშვნელოვანია ცხოვრების წესის და უბედური შემთხვევის ფაქტორების გავლენის დამოუკიდებლად შეფასება. სასამართლო ვიქტიმოლოგმა თავიდან უნდა აიცილოს მსხვერპლისადმი ზიანის მიყენების რისკის პროფილების ისეთი დახასიათება, სადაც დაზუსტების გარეშე გაერთიანებულია ამ ორი ფაქტორის შეფასება. ამ პრაქტიკამ შეიძლება გამოიწვიოს დამახინჯებული ინფორმაცია, როგორც მსხვერპლის შეფასებაში, ასევე მის ჩვენებაშიც.

როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ბ. ტერვი და ვ. პეტერიკი, კონკრეტულ დაზარალებულსა (მსხვერპლსა) და დამნაშავეს შორის ურთიერთობის დინამიკის შესწავლა არის გასაღები უამრავ მნიშვნელოვან საგამოძიებო და სასამართლო ექსპერტიზის კითხვებზე პასუხის გასაცემად. ეს მოიცავს მსხვერპლთა როლის შემოწმებას საკუთარ ვიქტიმიზაციაში. ამ როლის შესწავლის ერთ-ერთი გზაა მსხვერპლზე ზემოქმედების დონის დათვალიერება, რა დროსაც შეიძლბა გამოვლინდეს დაცვის ის შესაძლებლობები, რომელთა გადალახვაც მოცემულ შემთხვევაში დამნაშავეს სჭირდებოდა მსხვერპლისათვის ზიანის მისაყენებლად. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ზოგადად, ცხოვრების წესის ფაქტორებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მსხვერპლზე სამი გზით: მოძალადესთან კონფლიქტის შექმნით; მსხვერპლის მუდმივი ყოფნით დამნაშავეთა ან დანაშაულისკენ მიდრეკილ პირთა შორის; მოძალადის მიერ მსხვერპლის დაუცველობის შეცნობით. რუტინული აქტივობის თეორიის თანახმად, დანაშაული განხორციედება მაშინ, როდესაც სავარაუდო დამნაშავეები (ვინც მოტივირებულია დანაშაულის ჩადენისთვის), შესაფერის სამიზნეების შერჩევისას დარწმუნებული არიან, რომ მათ მიერ შერჩეული მსხვერპლი დაუცვლია ქმედუნარიანი მეურვეების (პოლიცია, მოწმე, ა.შ.) არარსებობის გამო. ეს თეორია მნიშვნელოვანია, რადგან ის მოქმედებს იმ წინაპირობით, რომ დანაშაული ხდება, როცა არსებობს შესაბამისი გარემო და ობიექტი, ვის წინააღმდეგაც არის შესაძლებელი მისი ჩადენა[47].

შემდეგი პრაქტიკულად მნიშვნელოვანი საკითხია სიტუაციური ზემოქმედება მსხვერპლზე. ბ. ტერვი და ვ. პეტერიკი ყურადღებას აქცევენ მსხვერპლის ისეთ მახასიათებლებს, რომლებიც წარმოიქმნება და ვლინდება კონკრეტულ სიტუაციაში. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს მთელი რიგი საკითხები, რომელთა შესწავლა მნიშვნელოვანია კონკრეტული სასამართლო საქმის განხილვისას: 1) რა თავისებურებები ახასიათებს სიტუაციური ზიანის მიყენებას; გამომდინარეობს თუ არა დაზარალებულის (მსხვერპლის) მოქმედება იმ პირების ზემოქმედებიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ დანაშაულთან; 2) რა განსხვავებაა ე.წ. თანმიმდევრულ და ერთდროულ მსხვერპლებს შორის; 3) რა მნიშვნელოვანი პუნქტებია გასათვალისწინებელი მსხვერპლის სიტუაციური ზემოქმედების განსაზღვრისას; 4) არსებობს თუ არა სხვა სახის ინფორმაცია დაზარალებულის (მსხვერპლის) შესახებ, გარდა ინფორმაციისა, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ სასამართლო ვიქტიმოლოგიის ინფორმაციასთან; 5) დამოკიდებულია თუ არა მიყენებული ზიანის ოდენობა ძალადობის ოდენობაზე.[48]

---

[46] *Burgess A., Hazelwood R.,* The Victim's Perspective, In Practical Aspects of Rape Investigation: A Multidisciplinary Approach, 3rd ed., edited by Hazelwood R. and Burgess A., Boca Raton, FL: CRC Press, 2001, 29-46.

[47] *Turvey B., Petherick W.,* Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 200.

[48] იქვე, 226.

6. სასამართლოს შეცდომები და დაზარალებულის მდგომარეობა

თანამედროვე საპროცესო ლიტერატურაში ფართოდ არის განხილული სასამართლო შეცდომების გავლენის საკითხი. კერძოდ, ყურადღება ეთმობა იმ ფაქტს, რომ მტკიცებულებების მიკერძოებულმა განხილვამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ბრალდებების სისტემაზე. შედეგად, ბრალდებული იქცევა სისტემის მსხვერპლად. მეცნიერები მათ არგუმენტაციას ორი თვალსაზრისით აანალიზებენ. პირველ რიგში, ფორმალური დოგმატური ანალიზის ნაცვლად წინა პლანზე დგება აღდგენითი მართლმსაჯულების ამოცანები. როგორც აღინიშნა, შეგნებულად უდანაშაულო პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა ან სისხლის სამართლის საქმის უკანონო აღძვრა არის მართლმსაჯულების სპეციფიკური შეცდომა, რომლის დროსაც მოსამართლის ან ნაფიც მსაჯულთა მიერ პირი ბრალდებულად არის ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ პირი ფაქტობრივად უდანაშაულოა. საქმე ის კი არ არის, არიან თუ არა ეს ბრალდებულები სისტემის მსხვერპლნი, არამედ ის, თუ რა ზიანი მიადგა მათ, აღიარებულია თუ არა შეცდომა და გამოსწორებულია თუ არა იგი.[49] და მეორე: მუშავდება სასამართლო გადაწყვეტილების რელევანტურობის თეორია. როგორც აღინიშნა, ჩვენ გამოვყოფთ მეცნიერულ ფაქტს იურიდიული ჭეშმარიტებისგან. როგორც გავიგეთ, სამართლებრივი ჭეშმარიტების დადგენა არის მოცემულ სასამართლოში არსებული გადაწყვეტილებების ფუნქცია, რომელიც შეიძლება გადაიხედოს და გაუქმდეს კიდეც. ეს არის კანონის დინამიურობის საკითხი. მეცნიერული ფაქტი დგინდება მეცნიერული მეთოდით და არსებობს სასამართლოსგან დამოუკიდებელ სფეროში. ვერც ერთი სამართლებრივი დასკვნა ვერ შეცვლის მეცნიერულ ფაქტს, მას შეუძლია მხოლოდ გადაწყვიტოს მისი დასაშვებობა. თუმცა, პირიქით ხდება რეგულარულად.[50] მტკიცებულებებს კანონი და მეცნიერება ოდნავ განსხვავებულად ხედავენ, ისევე, როგორც ლოგიკის გამოყენება და როგორც სოციალური ფასეულობების აღქმა.

დაუსაბუთებელი განაჩენების გამომწვევ ფაქტორებს შორისაა: 1. თვითმხილველის არასწორი იდენტიფიცირება, 2. მტკიცებულებების დამახინჯება, 3. არასწორად გაგებული მტკიცებულებები, 4. ყალბი აღიარება, 5. „ციხის“ ინფორმატორების ცრუ ჩვენება, 6. არაეფექტური ან არაკომპეტენტური დაცვა, 7. პროკურატურის გადაცდომა.[51]

განსაკუთრებით გამოირჩევა ორი ფაქტორი: მოწმის არასწორი იდენტიფიკაცია და სასამართლო ექსპერტის როლი გაუმართლებული განაჩენების გამოტანისას.

ითვლება, რომ მოწმის არასწორი იდენტიფიკაცია გამოწვეულია იმით, რომ ნაფიც მსაჯულები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ თვითმხილველთა ჩვენებებს, ვიდრე ბევრ სხვა სახის მტკიცებულებას. ამასთან, ყურადღებას აქცევენ იმაზე, რომ თვითმხილველები ხშირად ცდებიან. აქ ყურადღება ეთმობა: 1. მოგონებების სიზუსტეს დროთა განმავლობაში, 2. სტრესს, ძალადობას და კონცენტრაციას იარაღის გამოყენებაზე, 3. მოწმის ნდობას, 4. მოწმის ყურადღების უზუსტობას, 5. რასობრივ იდენტიფიკაციას. და ბოლოს, აღნიშნულია, რომ ნაფიც მსაჯულებმა არ იციან, რომ თვითმხილველის ჩვენება არაზუსტია. ვიქტიმოლოგები ასევე ყურადღებას ამახვილებენ სასამართლო ექსპერტების როლზე გაუმართლებელი განაჩენების გამოტანისას. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ექსპერტიზის ობიექ-

[49] იქვე, 510.
[50] იქვე, 533.
[51] იქვე, 524.

ტურობას. პასუხის ფორმა შეიძლება იყოს ექსპერტის ჩვენებასთან დაკავშირებული განაჩენის გაუქმება და მონაწილე მხარის რესურსების ხარჯის გაზრდა.[52]

7. დასკვნა

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნად, რომ დაზარალებულის აქტიური მონაწილეობა სასამართლო განხილვაში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ხელს უწყობს მისი კანონიერი ინტერესების დაცვას და სასამართლოს მიერ ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანას. ასევე გამახვილებულია ყურადღება ცრუ შეტყობინებებით და ცრუ ჩვენებებით გამოწვეულ შედეგებზე, როდესაც ფსევდოდაზარალებული მხარდაჭერის მოპოვების მიზნით ზოგჯერ აყენებს საკუთარ თავს სერიოზულ და ყალბ დაზიანებებს. ნათლად წარმოჩენილია იმ პრობლემების აქტუალობა, როდესაც სისხლის სამართლის მართლსაჯულების თანამშრომლები თავს ხედავენ დანაშაულის გამხსნელებად და არა დაზარალებულთა თანაშემწეებად, რის შედეგადაც იზღუდება მათი ურთიერთობა.

სტატიაში გაკეთებულია აქცენტი დაზარალებულის შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებულ მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხების აქტუალობაზე. ხაზგასმულია, რაოდენ მნიშვნელოვანია სასამართლო განხილვის სტადიაზე დაზარალებულის ჩართულობა, რათა უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა, როგორც მნიშვნელოვანმა მოწმემ.

აღნიშნულია, რომ შესაძლებელია არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დაზარალებულის ცხოვრების წესსა და მის ვიქტიმიზაციას შორის, რაც ყოველთვის არ არის ნათელი. ეს განპირობებულია იმით, რომ ძნელია განისაზღვროს, თუ რამდენად მოქმედებს ცხოვრების სტილის ფაქტორები კრიმინალურ სიტუაციაზე, გამახვილებულია ყურადღება დაზარალებულის ბრალდებულთან დანაშაულისწინა პერიოდში ურთიერთობის შესწავლის მნიშვნელობაზე.

და ბოლოს, განხილულია ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება შეუშალოს ხელი მართლმსაჯულებას სამართლიანი განაჩენის გამოტანაში.

ბიბლიოგრაფია:

1. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, 337-339.
2. *შალიკაშვილი მ.,* კრიმინოლოგია, მესამეე გამოცემა, თბ., 2017, 194-199.
3. *შალიკაშვილი მ., თანდილაშვილი ხ., ბახტაძე უ.,* ვიქტიმოლოგია, მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2023, 48-61.
4. *წულაია ზ.*, კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, თბ., 2005, 127.
5. *Anderson M.*, The Legacy of the Prompt Complaint Requirement, Corroboration Requirement, and Cautionary Instructions on Campus Sexual Assault, Boston University Law Review 84, 2004, 984-986.
6. *Burgess A., Hazelwood R.,* The Victim's Perspective, In Practical Aspects of Rape Investigation: A Multidisciplinary Approach, 3rd ed., edited by Hazelwood R. and Burgess A., Boca Raton, FL: CRC Press, 2001, 29-46.
7. *Epstein J.*, True Lies: The Constitutional and Evidentiary Bases for Admitting Prior False Accusation Evidence in Sexual Assault Prosecutions, Quinnipiac Law Review № 24, 2006, 609-658.

[52] იქვე, 535.

8. *Gruber A*., Victim Wrongs: The Case for a General Criminal Defense Based on Wrongful Victim Behavior in an Era of Victims' Rights, Temple Law Review, № 76, Winter, 2003, 654-657.
9. *Guthrie C., Rachlinski J., Wistrich A*., Blinking on the Bench: How Judges Decide Cases, Cornell Law Review № 93, 2007, 43.
10. *McGrath M*., False Allegations of Rape and the Criminal Profiler, The Journal of Behavioral Profiling 1, №. 3., 2000, 87.
11. *Murphy P*., Murphy on Evidence, 10th ed. New York: Oxford University Press, 2008, 109.
12. *Myers B., Green E*., The Prejudicial nature of Victim Impact Statements, Psychology, Public Policy, and Law, Vol. 10, 2004, 492-511.
13. *Pokorak J*., Rape Victims and Prosecutors: The Inevitable Ethical Conflict of De Facto Client/Attorney Relationships, South Texas Law Review, Spring, №. 48, 2007, 697–699.
14. *Rock P*., Theoretical Perspectives on Victimization, In Handbook on Victims and Victimology, edited by *S. Walklate*, Portland, OR: Willian Publishing, 2007, 42.
15. *Schafer S*., The Victim and His Criminal: A Study in Functional Responsibility, New York: Random House, 1968, 55.
16. *Simmons R*., Private Criminal Justice, Wake Forest Law Review № 47, Winter, 2007, 315.
17. *Turvey B*., Criminal Profiling, An Introduction to Behavioral Evidence Analysis, 3rd ed, San Diego: Elsevier Science, 2008, 285.
18. *Turvey B., Petherick W*., Forensic Victimology, Examining Violent Crime Victims in Investigative and Legal Contexts, Amsterdam – London, 2009, 34, 37, 38, 39, 49, 50, 51, 271-272, 267, 272, 277-278, 278-279, 281-282, 282, 476, 477-478, 478, 190, 482, 483, 485-486, 165, 169, 172, 176, 184, 196, 200, 226, 510, 533, 524, 535.